საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2019 წლის 13 მარტი**

დისციპლინური საქმე №149/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 29 მაისის №149 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 10 ივლისის №149/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად, -- სასამართლომ (მოსამართლე -- --) საქმეზე დაადგინა უკანონო გამამტყუნებელი განაჩენი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2008 წლის 04 აგვისტოს განაჩენით, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება -- პროკურატურის პროკურორსა და -- -- შორის. -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 344-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელი, საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის ვადით გამოსაცდელი ვადით. მასვე, დამატებით სასჯელად, საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, დაენიშნა ჯარიმა - 2,000 ლარის ოდენობით.

-- სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2008 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული -- -- გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 19, 344-ე მუხლის პირველი ნაწილით პირობითად დანიშნული 3 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{2} მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის გარემოებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა -- სასამართლოს 2008 წლის 04 აგვისტოს განაჩენის დადგენისას. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხსენებული ნორმა წარმოადგენს მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{2} მუხლი წარმოადგენს მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 ლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 12 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

დისციპლინური საქმეზე №149/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი